



გადაუდებელი მედიცინის განყოფილების ექთნის კურსი



საათების განაწილება:

- 4 საათი დღეში,
- 5 დღე კვირაში,
- 4 კვირის განმავლობაში

კლინიკური პრაქტიკა: 24 საათი, ინდივიდუალური საჭიროების შემთხვევაში დანიშნება დამატებითი კლინიკური პრაქტიკის საათები
 ღირებულება 200 ლარი
 პროგრამის კლინიკური კომპონენტი ტარდება თბილისში, ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაში.

გადაუდებელი მედიცინის ექთნის მომზადების მიზანია ექთანმა შემლოს ამოცნოს კრიტიკული/გადაუდებელი მდგომარეობები, შეაფასოს პაციენტის სიმძიმე, აღექვატური და სწრაფი ზომები მიიღოს სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობების აღმოსაფხვრელად, მიაღწიოს პაციენტის სტაბილიზაციას.

კურსის ფარგლებში ექთანი შეისწავლის:

1. პაციენტის შეფასებას ტრიაჟის სიმწვავის შკალის მიხედვით და მის დისპოზიციას შესაბამისი მიმართულებით (გადაუდებელი მედიცინის განყოფილება, სტაციონარი, ბინაზე).
2. ტრავმული პაციენტის პირველადი და მეორადი შეფასების ეტაპები და შესაბამისი ჩარევები: A,B,C,D,E,F,G,H,I
3. საპაერო გზების გახსნის მეთოდებს, ჟანგბადის მიწოდების ტექნიკას ამბუთი და ნილბით.
4. კისრის და ხერხემლის იმობილიზაციას ტრავმა პაციენტში
5. საიმობილიზაციო დაფაზე დაფიქსირებული პაციენტის საწოლზე გადაწვევის ტექნიკას.
6. სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაციის პროტოკოლს, აღჭურვილობას, მედიკამენტებს.
7. თორაკალური დრენაჟის ჩადგმის პროტოკოლს, ჩვენებს, აღჭურვილობას, საექთნო მოვლას.
8. სისხლძარღვებთან მიდგომების სახეობებს: პერიფერიული, ცენტრალური ვენები და არტერიის ერთჯერადი პუნქციის შესახებ თეორიულ ცოდნას.
9. ლაბორატორიული კვლევების ჩატარების სპეციფიკას (სისხლის აღების წესები, ლაბ. ტესტების პასუხების ინტერპრეტაცია (მჟავატუტოვანი წონასწორობა, არტერიული სისხლის გაზები და ელექტროლიტები— ძირითადი გადახრები).
10. ინფექციის კონტროლს: უნივერსალური და

11. სითხეების გადასხმას, გადასასხმელი ხსნარის სიჩქარის და დოზის გამოანგარიშებას.
12. პაციენტის ნევროლოგიური სტატუსის შეფასებას გლაზგოს კომის შკალის მიხედვით
13. სიცოცხლისთვის საშიში რითმების გამოცნობას და შესაბამისი ჩარევების განხორციელების თეორიულ ცოდნას.
14. დამწვრობით მიღებულ ტრავმას, დამწვარი ზედაპირის ფართობის გამოანგარიშებას, საექთნო მართვას, სითხეების გადასხმის დოზირებას დამწვრობის დროს.
15. შოკური მდგომარეობის პათოფიზიოლოგიას, კარდიოგენული, ჰიპოვოლემიური, ობსტრუქციული და დისტრიბუციული შოკებს, დამახასიათებელ ნიშნებს და სიმპტომებს, შეფასებას, საექთნო მართვას.
16. გადაუდებელი კარდიოლოგიური შემთხვევების საექთნო მართვას, მედიკამენტებს, მწვავე კორონარულ სინდრომს, —ძირითად მახასიათებლებს
17. მწვავე რესპირატორულ მდგომარეობებს, რენტგენოლოგიური სურათის ინტერპრეტაციას, ძირითად საექთნო ჩარევებს.
18. ოფთალმოლოგიურ გადაუდებელ მდგომარეობებს, საექთნო ჩარევის თეორიულ ცოდნას
19. პემატოლოგიური დარღვევები გადაუდებელ განყოფილებაში, თეორიული ცოდნა.
20. გადაუდებელი ნევროლოგიური დარღვევები, საექთნო მართვა
21. გადაუდებელი ენდოკრინული დარღვევები, თეორიული ცოდნა
22. გადაუდებელი გასტროინტესტინული დარღვევები, საექთნო მართვა
23. გადაუდებელი ტოქსიკოლოგია, საექთნო მართვა
24. გადაუდებელი გინეკოლოგიური დარღვევები, თეორიული ცოდნა
25. გადაუდებელი შარდსასქესო სისტემის დარღვევები.
26. საექთნო მოვლას ორსულთა ტრავმის დროს
27. საექთნო მოვლას გერიატრული ტრავმის დროს
28. საექთნო მოვლას პედიატრიული ტრავმის დროს
29. მოზრდილსა და ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენას და პაციენტის კონსულტირებას
30. გარემო ფაქტორებით გამოწვეული გადაუდებელი შემთხვევები და ექთნის ფუნქცია საექთნო დოკუმენტაციის წარმოება გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში.

+995 32 244859; +995 32 747408

პარტნიორები საერთაშორისო ბანკითარებისათვის ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა

კურსის ფარგლებში ისწავლება შემდეგი კლინიკური უნარ-ჩვევები

- 12 განხრიანი ეგგ-ს გადაღება და წაკითხვა: კარდიო-პულსმონარული რეანიმაცია
- მონიტორზე სასიცოცხლო მაჩვენებლების წაკითხვა; გაზების მიმწოდებელი სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენება, ვენტურის ნილაბი, ნაზალური კანულა და სხვა.
- IV კათეტერების ჩადგმა (პერიფერიული და ცენტრალური);
- სითხეების ჩანაცვლება, მედიკამენტების დოზირება და გადასხმის სიჩქარის განსაზღვრა ხერხემლის იმობილიზაციის პრინციპები და მისი სწორად გამოყენება; და სხვ.